https://doi.org/10.52340/PUTK.2023.27.07

ონომასტიკური მეცნიერების ფუძემდებლობის საკითხისთვის საქართველოში

IN CONNECTION WITH FOUNDATIONAL ISSUES OF ONOMASTICS, BRANCH OF LINGUISTICS, IN GEORGIA

ქეთევან გოდერძიშვილი
ფაზისის აკადემია
თბილისი, საქართველო

Ketevan Goderdzishvili
Phazisi Academy
Tbilisi, Georgia

ABSTRACT

Initial interest in onomastic issues in Georgia can be traced back to the 18th-century historian and geographer Vakhushti Bagrationi. Subsequently, pleiades of scholars became intrigued by this field. However, the formal establishment of onomastics as a distinct field of linguistics in Georgia, marked by systematic management, is credited to Professor Alexander Ghlonti, rather than the toponymy laboratory established at TSU in 1969. This attribution, made by members of the toponymy laboratory at the beginning of the 21st century, is considered inaccurate. Although P. Tskhadaia acknowledges Professor Alexander Ghlonti as the founder of Georgian onomastics, two more professors, Z. Chumburidze and I. Maisuradze, are mentioned alongside him ("Introduction to Onomastics", 2005, 14). A chronological comparison of the onomastic works of these three scholars reveals that, in all fields of onomastics, their contributions are preceded by the works of Al. Ghlonti. Moreover, Ghlonti's priority is evident even in comparison to the works of the members of the TSU toponymy laboratory.

We have identified another issue: in the historical context of the planned management of onomastic research in Georgia, the toponymy laboratory emphasizes the antecedence and superiority of its first head, Parnaoz Ertelishvili. Ertelishvili took on this significant national task and would undoubtedly have fulfilled his duty brilliantly, but unfortunately, he passed away within two and a half years. Throughout the existence of the onomastic laboratory, except for a few years, Prof. Paata Tskhadaia has been the leader of onomastic activities.

Famous scholars of the 20th century substantiate that Prof. Alexander Ghlonti was the founder of onomastics in Georgia. A few of them include:

*Professors Leo Kvatchadze, G. Nebieridze, and Z. Sarjveladze: "Al. Ghlonti laid the foundation of Georgian… onomatology".

* Prof. I. Megrelidze: "Mr. Alexander (Ghlonti) is the founder of Georgian Onomatology..."

* Acad. Sergi Jikia: "his name is closely associated with the formation of Georgian anthroponymy as an independent system".

* Ilia Maisuradze: The book 'Georgian lexicology' is being published in the Georgian language for the first time... Onomatology is considered a part of the field of lexicology"

* Professors. Zurab Kiknadze, and Ruben Enukashvili: "Professor Alexander Ghlonti started the monographic research of onomastics in our country."

After these words from the renowned scholars, it becomes evident that the assertion linking the initiation of in-depth scientific research on onomastics - toponymy and anthroponymy - in Georgia to three eminent linguists—Al. Ghlonti, Z. Chumburidze, and I. Maisuradze—is a misunderstanding.

It is noteworthy that Acad. Shota Dzidziguri, the founder of the toponymy laboratory at TSU in 1969, identifies Prof. Alexander Ghlonti as the founder of onomastics in Georgia, citing his works such as 'Georgian Lexicology' (1964), the 'Toponymic Researches' series (11 books), and 'Georgian Proper Names' (1967).

საკვანძო სიტყვები: ქართული ონომასტიკა, ალექსანდრე ღლონტი - ქართული ონომასტიკის ფუძემდებელი, თსუ ტოპონიმიკის ლაბორატორიის კვლევები.
Keywords: Georgian onomastics, Alexander Ghlonti - the founder of Georgian onomastics, research carried out by TSU toponymy laboratory.

შესავალი.

ონომასტიკა, საკუთარ სახელთა შემსწავლელი მეცნიერება, სპეციალურ დარგად გვიან ჩამოყალიბდა. ეს დისციპლინა **XIX საუკუნეში** ევროპასა და რუსეთში ჩაისახა, რაც ჩანს ფ. მიკლოშიჩის (ვენა), ა. ფოტის (ლაიფციგი), ა. ფიკის (გერმანია), ა. ვოსტოკოვის, ა. სოკოლოვის (რუსეთი) და სხვათა შრომებიდან. **XX საუკუნის I ნახევარში** კი დასავლეთევროპელ (ა. ბახი, ს. როსპონდი, მ. ფასმერი, ფ. ბლანარი), რუს, უკრაინელ და სხვა მკვლევართა (ვ. მიხაილოვი, ა. სობოლევსკი, მ. კარპენკო, პ. პოროტნიკოვი, ა. სელიშჩევი, ლ. შჩეტინინი, ს. ზინინი) პარალელურად, საქართველოშიც იბეჭდებოდა ცალკეულ მეცნიერთა ონომასტიკური დაკვირვებანი. ონომასტიკის საკითხებით დაინტერესებულ ცნობილ მეცნიერთაგან საქართველოში, უპირველეს ყოვლისა, დასახელებულია მე-18 საუკუნის მოღვაწე – ისტორიკოსი და გეოგრაფი ვახუშტი ბატონიშვილი (აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1745).

ჩვენი დროის ძველი თაობიდან მეტად საინტერესო ონომასტიკური მოსაზრების ავტორები არიან მეცნიერები: მოსე ჯანაშვილი, ნიკო მარი, ნიკო ბერძენიშვილი, სიმონ ჯანაშია, სტ. ჩხენკელი, სიმონ .ყაუხჩიშვილი, ვარლამ თოფურია, არნოლდ ჩიქობავა, გიორგი ახვლედიანი, სერგი ჯიქია, ივანე იმნაიშვილი, აკაკი შანიძე, გამორჩეულად – ივანე ჯავახიშვილი; მომდევნო თაობიდან: მიხეილ ჩიქოვანი, იოსებ მეგრელიძე, თედო უთურგაიძე, მიხეილ ალავიძე და სხვ. გამოვყოფთ იური სიხარულიძეს. შემდეგ მოდის მომდევნო თაობის მთელი პლეადა.

ონომასტიკას, მეცნიერებას საკუთარი სახელების შესახებ, ითავ(ი)სებს მეცნიერების სხვადასხვა დარგი: ისტორიოგრაფია,

გეოგრაფია, ეთნოგრაფია, ლიტერატურათმცოდნეობა, წარმოიდგინეთ, პოლიტოლოგიაც... ამდენად, ონომასტიკური კვლევა სხვადასხვა ასპექტით მიმდინარეობდა, მაგრამ ისტორიულ-გეოგრაფიული თუ სხვა დარგის სამეცნიერო კვლევები სწორედ საკუთარ სახელზე გადის. საკუთარი სახელი კი, უპირველეს ყოვლისა, არის სიტყვა, სიტყვა კი ლექსიკური ერთეულია, რომელსაც სწავლობს ლინგვისტიკა.

ონომასტიკა რომ ენათმეცნიერების დარგია, ამაზე **XX საუკუნის 60-იან წლებში** პირდაპირ მიუთითებს ა. რეფორმატსკის ნაშრომის სათაური: "Топономастика, как лингвистический факт" (1964).

დღეს საქართველოში ონომასტიკა გამოკვეთილად ენათმეცნიერულ დარგადაა მიჩნეული, რამეთუ ონიმი ლექსიკური ერთეულია, ლექსიკის შემსწავლელი ლექსიკოლოგია კი ენათმეცნიერების დარგია. ალ. ღლონტმა სწორედ ლექსიკოლოგიისადმი მიძღვნილ მონოგრაფიაში (ქართული ლექსიკოლოგია, 1964). შეიტანა ონომატოლოგია. ამით მან პირველმა ოფიციალურად გამოაცხადა იგი ენათმეცნიერების დარგად.

რუსეთში ონომასტიკის, როგორც დარგის, ფუძემდებელთა შორის გამოვყოფთ მეცნიერებს: ა. ნიკონოვს, ვ. სუპერანსკაიას, ა. პოდოლსკაიას... იმ ნიშნითაც, რომ მათი თეორიული ნაშრომები საქართველოს ონომასტებისთვისაც ტოპონიმიკასა და ანთროპონიმიკაში გამორჩეულად სამაგიდო წიგნებად იქცა. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ 70-იან წლებში ვ. ნიკონოვი სტუმრად ჩამოვიდა თბილისში, თსუ-სა და პედაგოგიურ უნივერსიტეტებში ამ დარგით დაინტერესებულ პირებს გვიკითხავდა ლექციათა მეტად საინტერესო ციკლს ონომასტიკაში. 1984 წელს ვ. ნიკონოვი თელავში ჩატარებულ საკავშირო ონომასტიკური კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე გახლდათ. მას მჭიდრო კავშირი ჰქონდა ქართველ ონომასტებთან: პროფ. ალექსანდრე ღლონტთან, ტოპონიმიკის ლაბორატორიასთან. საქართველოში მიმდინარე ონომასტიკური ვითარება გადიოდა ქვეყნის გარეთაც, იმ პერიოდის ამის ერთი მაგალითია ვ. კარპენკოს სტატია Ономастика в художественной литературе (კრებული ОНОМАСТИКА. ПРОБЛЕМЫ И МЕТОДЫ 1978, 169-188), რომელშიც მითითებულია ჩემი სტატია: „Годердзишвили К.М. Сахели да хасиати, "Мнатоби, Тбилиси, 1974, №9, с. 168-172. На груз. яз". საინტერესოა, რომ სათაური ქართულადაა, ცხადია, რუსული შრიფტით და ეს მნიშვნელოვანი ფაქტი ათეული წლების შემდეგ გავიგე კრებულიდან, რომელიც აღმოჩნდა აკად. სერგი ჯიქიას ოჯახის ბიბლიოთეკაში და მადლობას ვუხდი პროფ. მარიკა ჯიქიას, რომ მომაწოდა ეს ჩემთვის, და არაოდენ ჩემთვის, მნიშვნელოვანი ცნობა.

* * *

ახლა უშუალოდ **ონომასტიკური მეცნიერების ფუძემდებლობის საკითხისთვის საქართველოში** თანამიმდევრული მეცნიერული ანალიზით.

ონომასტიკაში გამოიყოფა არაერთი ქვედისციპლინა, ძირითადად, ტოპონიმიკა-ჰიდრონომიკა და ანთროპონიმიკა. საქართველოში ონომასტიკის ჩამოყალიბება ლინგვისტიკის დარგად დაიწყო XX საუკუნის 60-იან წლებში და ეს პროცესი დაკავშირებულია, როგორც არაერთგზის აღნიშნულა, პროფ. ალ. ღლონტის სახელთან (იხ. ქვემოთ ამონარიდები). ამის დასტურად, უპირველეს ყოვლისა, ასახელებენ მის სახელმძღვანელოს

„ქართული ლექსიკოლოგია", რომლის პირველი გამოცემის თარიღია 1964 წელი.

მე, როგორც ონომასტიკური მეცნიერების ნახევარსაუკუნოვანი მოღვაწე, ამასთან, თვითმხილველი ამ დარგის დაარსებისა (1964 წ.) და 60-იან წლებშივე პედაგოგიურ ინსტიტუტში ამ საგნის სწავლას ნაზიარები, ვალდებული ვარ გამოვკვეთო თემა, რომელსაც ჟამთა სვლამ XXI საუკუნის დასაწყისში სიცხადე დაუკარგა – ეს გახლავთ ონომასტიკის, როგორც ენათმეცნიერების დარგის, ფუძემდებლის საკითხი საქართველოში.

XX საუკუნის ცნობილ მეცნიერთა მიერ ალ. ღლონტი რომ ერთხმადაა აღიარებული საქართველოში ონომასტიკის, როგორც ენათმეცნიერული დარგის, ფუძემდებლად, ადასტურებს ამონარიდები:

*__პროფესორები: ლ. კვაჭაძე, კ. დანელია, გ. ნებიერიძე, ზ. სარჯველაძე:__ „ქართულ... ონომატოლოგიას ალ. ღლონტმა დაუდო სათავე" (საქართველოს. რესპუბლიკა 1992, №9.06).

*__პროფესორები: ალ. ფოცხიშვილი, ლ. კვაჭაძე, ზ. სარჯველაძე:__ „მან დასაბამი დაუდო ანთროპონიმიკისა და ტოპონიმიკის სისტემურ კვლევას".

*__აკად. შ. ძიძიგური, პროფ. ივ. იმნაიშვილი, პროფ. ლ. კვაჭაძე:__ „არსებითად მან დაუდო სათავე ქართულ სინქრონიულ და დიაქრონიულ ონომატოლოგიას (კომუნისტი 1973.3.03).

*__პროფ. ი. მეგრელიძე__: „ბ-ნი ალექსანდრე ქართული ონომატოლოგიის ფუძემდებელია... „ქართული ლექსიკოლოგიის საკითხები" – ამ სახის თეორიული ნაშრომი ქართულ ენაზე მანამდე არ გვქონია... მისი „ქართველურ საკუთარ სახელთა ლექსიკონი" სამართლიანად არის აღიარებული ჩვენში ამ დარგის პირველ ფუნდამენტურ ლექსიკონად" (ქართული კულტურა 1992.12.06). „ფაქტია, რომ ცოცხალთა შორის ალ.ღლონტს ქართულ ლექსიკოლოგიაში დღეს ტოლი არა ჰყავს" (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს, 1988. 12.06).

*__აკად. სერგი ჯიქია:__ „სწორედ მის სახელთანაა დაკავშირებული ქართული ანთროპონიმიკის დამოუკიდებელ სისტემად ჩამოყალიბება". „ქართველური საკუთარი სახელები" და „ქართული ლექსიკოლოგია" – მათ ფუძემდებლური მნიშვნელობა აქვთ... მის სახელთან დაკავშირებულია ტოპონიმიკისა და ანთროპონიმიკის ფუძემდებლური გამოკვლევებით გამდიდრება ჩვენში... ჩემი ღრმა რწმენით, სვსებით იმსახურებს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად არჩევას".

*__აკად. სიმონ ყაუხჩიშვილი, პროფესორები: ლეო კვაჭაძე , აკაკი დავითიანი:__ Впервые стала предметом лингвистического исследования система картвельских собственных имён... имеющий основополага- ющее значение.

*__ილია მაისურაძე: „__ქართული ლექსიკოლოგია" – ასეთი წიგნი ქართულ ენაზე ძირველად გამოდის... ონომატოლოგია შესულია ლექსიკოლოგიის სფეროში" (სოციალისტური რუსთავი).

*__პროფ. აკაკი თოფურია:__ „ა. ღლონტი ჩვენს სინამდვილეში ფუძემდებელია ონომატოლოგიის, როგორც ლექსიკოლოგიის დარგისა".

*__პროფ. ზურაბ კიკნაძე, რუბენ ენუქაშვილი:__ „პროფ. ალ. ღლონტმა სათავე დაუდო ჩვენში ონომასტიკის მონოგრაფიულ კვლევას". დასახელებულია: „ქართული ლექსიკოლოგია" (1964), „ქართველური საკუთარი სახელები" (1967), „ტოპონიმიკური ძიებანი" (ახალგაზრდა კომუნისტი 1982.5.08).

*__პროფ. ო. ქაჯაია:__ „განსაკუთრებულია პროფ. ალ. ღლონტის დამსახურება ქართული ონომატოლოგიის წინაშე. ცოდნის ეს დარგი ჩვენში ჩამოყალიბებული არ ყოფილა“ (საბჭოთა ოსეთი 1972. 8.06).

*__პროფესორები: ლ. კვაჭაძე, ო. ქაჯაია:__ „მან სათავე დაუდო ქართულ ონომატოლოგიას“ (თბილისი 1982).

*__პროფ. თ. უთურგაიძე, პ. ცხადაია, ქ. გოდერძიშვილი:__ „ღლონტმა სათავე დაუდო ჩვენში ონომასტიკას, როგ ორც ფილოლოგიური მეცნიერების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დარგს” (ქართველური ონომასტიკა , VI).

*__ი. ახუაშვილი:__ „იგი ფუძემდებელია ქართული ონომასტიკისა”.

*__გიორგი ნატროშვილი:__ „ალ. ღლონტმა პირველმა შეისწავლა ქართველური ანთროპონიმიკა“ (თბილისი 1988.8.07).

* __ნ. მესხრიკაძე__ (ცხინვალის პედ. ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგე), __ვ. სომხიშვილი:__ „...ქართული ლექსიკოლოგია”, „ქართველური საკუთარი სახელები”, რომლებითაც საფუძველი ეყრება ონომატოლოგიას, როგორც ლექსიკოლოგიის დარგს” (საბჭოთა ოსეთი 1982.9.06).

*__რუსუდან ცუცქირიძე__ (გორის ინსტიტუტი): „ლექსიკოლოგია საქართველოში მან პირველმა ჩამოაყალიბა ცალკე მეცნიერულ დისციპლინად” (გამარჯვება 1987. 15.05.).

*__პროფ. დავით გეწაძე:__ „ქართველური საკუთარი სახელები” (1967) პირველი მონოგრაფიაა ქართული და ქართველური ანთროპონიმიკის საკითხებზე და, ამდენად, საფუძველს უყრის ჩვენში ონომატოლოგიას, როგორც ლექსიკოლოგიის ერთ-ერთ დარგს” (ქუთაისი 19728.08).

* __პროფესორები: ალ. ონიანი, ალ. ფოცხიშვილი, თ. უთურგაიძე:__ „ჯერ კიდევ უნივერსიტეტის ტოპონიმიკის ლაბორატორიის შექმნამდე მან გამოსცა „ქართული ლექსიკოლოგია”, სადაც მესამე თავად შეიტანა „ქართული ონომატოლოგია”, როგორც ლექსიკოლოგიის დარგი... ალ. ღლონტმა სათავე დაუდო სინქრონიულ და დიაქრონიულ ონომატოლოგიას ჩვენში” (თბილისი 1992.12. 07.).

* __პროფესორები: შ. ნიჟარაძე, გ. კაჭარავა:__ „ქართველური საკუთარი სახელები” (1967) საეტაპო მონოგრაფიაა და ფუძემდებლურ როლს ასრულებს ქართულ ანთროპონიმიკაში” (საბჭოთა აჭარა 1982,8.06.).

*__პროფ. გუბაზ გოგატიშვილი:__ „ალ. ღლონტი ფუძემდებელია ქარ-თული ონომასტიკისა. მან შექმნა ძირველი ქართული ონომატოლოგიური ლექსიკონი. უხვადაა წარმოდგენილი სვანური და კოლხური მასალა. საეტაპო მოვლენა მოხდა ქართველოლოგიაში ახალი მიმართულება ონომატოლოგია შეიქმნა“ (ქართველური ონომასტიკა, VI.06.13).

* __პროფესორები: რ. ჭიკაძე, ა. გვენცაძე, ა. სპარსიაშვილი:__ „აქ წარმოდგენილია საქართველოს სხვადასხვა კუთხის სიმდიდრე, მანამდე რომ კალამი არ შეხებია” (ალაზნის განთიადი 1982.06).

* __პოეტი ხუტა ბერულავა:__ „ალ. ღლონტი ქართული ონიმასტიკის ფუძემდებლად მიიჩნევა და სამართლიანადაც” (საქართველოს რესპუბლიკა 1996. 3.10).

*__პროფ. რ. შამელაშვილი:__ „სწორედ მან ჩაუყარა საფუძველი... ქართულ ონომატოლოგიას” „ქართული ლექსიკოლოგია პირველი მონოგრაფიაა, რომელშიც...” (ქუთაისი 1982.17.07).

*__პროფ. შ. ფუტკარაძე,__ ალ. მსხალაძე: „ქართული ლექსიკოლოგია," „ქართველური საკუთარი სახელები"... ამით მან სათავე დაუდო ახალ მიმართულებას ქართულ ლექსიკოლოგიაში" (საბჭოთა აჭარა 1987: 11).

*__პროფ. მარიკა ჯიქია:__ „ალ. ღლონტი – ონომასტიკური სამეცნიერო სკოლის დამაარსებელი საქართველოში".

*__პროფ. პ. ცხადაია__ წერს: „ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლების" მესამე თავში, აგრეთვე 10 წიგნად გამოცემული „ტოპონიმიკური ძიებანის" შესავალ ნაწილებსა და ცალკეულ სტატიებში (გამორჩენილია „ქართველური საკუთარი სახელები" 1967 – ქ.გ.). გარკვეულია… ონომატოლოგიის საგანი, საკუთარ სახელთა რაობა, სპეციფიკა, სტრუქტურა და სემანტიკა, ტოპონიმთა კატეგორიები სახელდებული ობიექტის სიდიდე-სიმცირის მიხედვით... ტოპონიმთა აღწერის მეთოდიკისა და კლასიფიკაციის საკითხები, ტოპონიმური მასალის კვლევა-ძიების მეთოდები და ხერხები, აპელატივის ტოპონიმიზაცია და სხვა. ამასთან, დასძენს; ალ. ღლონტი ხაზგასმით აღნიშნავსო, რომ „**სიტყვაწარმოება და ონომატოლოგია სწორედ ლექსიკოლოგიის სფეროში შემოდის და აქ უნდა განიხილებოდეს**" (ცხადაია 2005: 14).

ზემოთ წარმოდგენილ ცნობილ მეცნიერთა, მით უფრო, ბატონი პაატას სიტყვების შემდეგ განაცხადი, რომ „საქართველოში ონომასტიკის – ტოპონიმიკისა და ანთროპონიმიკის – ღრმა მეცნიერული კვლევის დაწყება ერთდროულად დაკავშირებულია სამი ცნობილი ენათმეცნიერის – ალ. ღლონტის, ზ. ჭუმბურიძის და ი. მაისურაძის – სახელებთან (იქვე), გაუგებრობაა. უფრო ზუსტად, აქ აქცენტირებული არ არის ფუძემდებლობის საკითხი. „ღრმა მეცნიერული კვლევის დაწყება" არ ნიშნავს ფუძემდებლობას, ეს ფუძემდებლის დასახელებისგან თავის არიდებაა. შესაძლებელია სხვაგვარი ახსნაც: ალ ღლონტის „ქართული ლექსიკოლოგიის" გამოცემის თარიღად ბატონ პაატას, ნაცვლად 1964 წლისა, მიაჩნია 1971 წელი. ფაქტობრივად კი ეს ონომასტიკაში ამ პირველი სახელმძღვანელოს (როგორც თავადაც უწოდებს, იქვე) მეორე გამოცემის თარიღია. აქედან გამომდინარეც, ბატონი პაატა საქართველოში ონომასტიკური კვლევის დასაწყისად შეცდომით ასახელებს „XX ს-ის 70-იანი წლებს".[1]

* * *

ალ. ღლონტის მიერ პირველი სახელმძღვანელოს გამოცემიდან 5 წლის შემდეგ, 1969 წელს, საქართველოში დაარსდა ტოპონიმიკის ლაბორატორია (გამგე ფარნაოზ ერთელიშვილი). მისი ხელმძღვანელობით დაიგეგმა: ერთი მხრივ, პრაქტიკულად საქართველოს რეგიონებში გასვლა, მეორე მხრივ, მოძიებული ტოპონიმური მასალის ენათმეცნიერული კვლევა, რაც სათანადოდაა შეფასებული, მაგრამ, უნდა ითქვას, არათანმიმდევრულად. მეტიც, არ შეესაბამება სიმართლეს შემდეგი ფრაზები:

*__პაატა ცხადაია:__ „პირველი პრაქტიკული ნაბიჯი რესპუბლიკაში ტოპონიმური მასალის აღწერის გეგმაზომიერად წარმართვის საქმეში გადადგა ფარნაოზ ერთელიშვილმა" (ცხადაია 2005: 14). ბატონი

[1]უდავოდ დიდია ღვაწლი პროფ. ზ. ჭუმბურიძისა. ამასთან, წიგნში „რა გქვია შენ" (1966), შესავალ ნაწილში, გვარებზე მსჯელობისას ბატონი ზურაბი მთლიანად ეყრდნობა ალ. ღლონტის თეორიას (იხ. ჩვენი სტატია: „გულანი," 2020: 23). ი. მაისურაძის „ქართული გვარსახელები" კი გამოცემულია 1979 წელს.

ფარნაოზი, უდავოდ პერსპექტიული და ნიჭიერი მეცნიერი, ნამდვილად ღირსეულ ნაბიჯს გადადგამდა, მაგრამ ასე აღმატებულად თქმას უხერხულობას ხომ არ უქმნის ის ფაქტი, რომ ბატონი ფარნაოზი, 1969 წლის ივლისში დაარსებული ტოპონიმიკის ლაბორატორიის პირველი გამგე, 1972 წელს გარდაიცვალა?

*__გიგი ხორნაული: მ__იუხედავად იმისა რომ ბევრი მეცნიერი უთმობდა ყურადღებას ონომასტიკას, მის კვლევას შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა. ამ საქმეს სისტემური ხასიათი მიეცა... 1969 წელს. თსუ ახალი ქართული ენის კათედრასთან ჩამოყალიბდა ტოპონიმიკის ლაბორატორია, რომელსაც დაევალა მთელი საქ-ს ტოპონიმიის აღწერა" (ხორნაული 2003: 4).

*__ქეთევან გოდერძიშვილი:__ „დავალება" და „შესრულება" სხვადასხვა ცნებებია, რომელთაც ზოგჯერ უფალი წარმართავს. 1969 წელს დაარსებულ თსუ ტოპონიმიკის ლაბორატორიაში, რა თქმა უნდა, დიდი ენთუზიაზმით შეუდგებოდნენ ნაკისრი მოვალეობის შესრულებას, გამგე უდავოდ დაგეგმავდა იმას, რისთვისაც დაარსდა ეს ლაბორატორია, პარალელურად, დაიწყებოდა შესაბამისი საქმიანობაც, მაგრამ, სავალალოდ, არ დასცალდა ბატონ ფარნაოზს, ორწელიწად-ნახევარში, 1972 წლის ივლისში, გარდაიცვალა. მიუხედავად ბატონი ფარნაოზის ძალიან ადრე წასვლისა, ძირითადად პაატა ცხადაიას თითქმის 40-წლიანი გამგეობისას ხდებოდა, ერთი მხრივ, საქართველოს რეგიონებში ტოპონიმთა მოსაძიებლად გასვლა და, მეორე მხრივ: იწერებოდა სამეცნიერო სტატიები, წიგნები, მონოგრაფიები, ლექსიკონები, იქმნებოდა ლაბორატორიის ფესვმაგარი ისტორია….

მაგრამ, ბუნებრივია, ეს იქმნებოდა თანდათანობით, ათეული წლების განმავლობაში. მაგალითად,

ტოპონიმიკის ლაბორატორიის დაარსების (1969) შემდეგ:

№1. პირველი სამეცნიერო წერილი დაიბეჭდა 1973 წელს: პ. ცხადაია, მომავალი დროის მიმღეობა მთიანი სამეგრელოს ტოპონიმიაში, „მოამბე." მეორე – 1974 წელს – შ. აფრიდონიძის „ტოპონიმთა სახელდებისა და წარმოების საკითხისათვის", თსუ ახალგაზრდა მეცნიერთა შრომები.[2]

№2. პირველი სამეცნიერო სტატიების კრებული „ტოპონიმიკა 1" – გამოიცა 1976 წელს.

№3. პირველი მონოგრაფია ტოპონიმური მასალით – 1983 წელს (გ. ხორნაული „მთები და სახელები"); მეორე – 1985 წელს (პ. ცხადაია, „მთიანი სამეგრელოს ტოპონიმია"), ე.ი. ეს ხდება ლაბორატორიის დაარსებიდან 14 წლის შემდეგ.

№4. პირველი ტოპონიმთა ლექსიკონი: დაიბეჭდა 1987 წელს: შ. აფრიდონიძე, ვ. ჯოჯუა, ი. ბაქრაძე, „ზემოიმერეთის ტოპონიმთა ლექსიკონი", მეორე ტოპონიმთა ლექსიკონი – 2003 წელს, ანუ მთლად XXI საუკუნეში და ესაა პ. ცხადაიას „სამურზაყანოს გეოგრაფიული სახელწოდებანი".

---

[2] აქვე უნდა აღვნიშნო, რომ 1974 წელს მე დავბეჭდე მოზრდილი სტატია „სახელი და ხასიათი" ჟურნ. „მნათობში", რომელსაც მოჰყვა მოსკოვში კარპოვის გამოხმაურება, რაც მეტად მნიშვნელოვანი ფაქტია, მაგრამ ამ პერიოდში მე არ გახლდით ტოპონიმიკის ლაბორატორიის წევრი, მხოლოდ 1977 წელს შევუერთდი ამ დიდ სამეცნიერო ჯგუფს, მაგრამ საკმაოდ მომზადებული ონომასტიკის საკითხებში პედაგოგიური ინსტიტუტიდან, სადაც ონომასტიკის კურსს მიკითხავდა ალ. ღლონტი.

№5. პირველი გვართა ლექსიკონი: 2000 წელი, პ. ცხადაია, „გვარები და გვართა დასახელებანი სამეგრელოში“.

№6. პირველი ონომასტიკის სახელმძღვანელოები ონომასტიკის ლაბორატორიაში გამოიცა: 2003 წელს (ავტორი გიგი ხორნაული), 2005 წელს (ავტორი პაატა ცხადაია).

რა კეთდებოდა საქართველოში თსუ ტოპონიმიკის ლაბორატორიის ამ პირველი შედეგების გამოვლინებამდე – წარმოვადგენთ ხუთ ფაქტორს:

I. გამოიცა ალ. ღლონტის „ქართული ლექსიკოლოგია” (1964), რომელიც მოიცავს პირველ ონომასტიკურ სახელმძღვანელოს (შდრ. ზემოთ №6).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 2003-2005 წლებში თსუ-ში ტოპონიმიკის ლაბორატორიის მეცნიერთა მიერ გამოიცა მეტად საჭირო და საინტერესო სახელმძღვანელოები, მაგრამ ვერსად გავექცევით XX საუკუნეში სამჯერ – 1964, 1971, 1988 წლებში, გამოცემულ „ქართული ლექსიკოლოგიას”, რომლის მესამე თავი სინამდვილეში ონომატოლოგიის სახელმძღვანელოა (იხ, ზემოთ თავად ბატონ პაატა ცხადაიას სიტყვები).

სწორედ ამ წიგნზე დაყრდნობითაა აღიარებული ალ. ღლონტი, ერთი მხრივ, ლექსიკოლოგიის ერთ-ერთ ფუძემდებლად (აკად. თამაზ გამყრელიძის შეფასებით), მეორე მხრივ, ონომასტიკის ერთადერთ ფუძემდებლად. რაც ყველაზე აღსანიშნია, თავად 1969 წელს თსუ ტოპონიმიკის ლაბორატორიის დამაარსებელი აკად. შოთა ძიძიგური აცხადებს: „არსებითად მან (ალ. ღლონტმა – ქ.გ.) დაუდო სათავე ქართულ სინქრონიულ და დიაქრონიულ ონომატოლოგიას. ქართული ონომატოლოგიის საფუძვლები ალ. ღლონტმა წარმოადგინა ჯერ „ქართულ ლექსიკოლოგიაში (1964). „ქართველური საკუთარი სახელები” – ეს პირველი მონოგრაფიაა, სადაც დამუშავებულია ქართული ანთროპონიმიკის საკითხები (ძიძიგური… 1973).

II. 1971 წლიდან გამოდის ალ. ღლონტის ტოპონიმთა ლექსიკონების მთელი სერია – „ტოპონიმიკური ძიებანი” (შდრ.: ტოპონიმიკის ლაბორატორიაში პირველი ტოპონიმთა ლექსიკონი დაიბეჭდა ათეული წლის შემდეგ).

მეცნიერული უპასუხისმგებლობაა – არ გაითვალისწინო, გეგმაზომიერად და სისტემურად წარმართულ საქმედ არ ჩათვალო ონომასტიკურ სივრცეში 11 წიგნად გამოცემული ეს მართლა სისტემური სერია ტოპონიმთა ლექსიკონებისა, რომელსაც მოჰყვა მეცნიერთა დიდი გამოხმაურებები (იხ. ზემოთ). ეს ტოპონიმთა ლექსიკონებია: კოლხეთის (1971), მცხეთის (1975), ლაგოეთის (1981), სიღნაღის-დედოფლისწყაროს (1982), აწყურიდან ტაშისკრამდე (1987), ფრონეების ხეობის (1988), თავახდილების (1990), სუფსა-ნატანების ხეობებისა (1993) – **ესაა სწორედ პირველი სისტემური და გეგმაზომიერი აღწერა** საქართველოს მოცემული ნაწილისა, მაშინ როცა ამ წლებში (1971-დან 1993-მდე) თსუ ტოპონიმიკის / ონომასტიკის ლაბორატორიაში ოფიციალურად მხოლოდ ერთი ტოპონიმთა ლექსიკონია დაბეჭდილი – 1987 წელს, დანარჩენები – თუმცა მრავლად, მაგრამ 2003 წლიდან იბეჭდება და სისტემური სახეც მიეცა.

ამიტომ არ შეესატყვისება მეცნიერულ სიმართლეს, რომ: „პირველი პრაქტიკული ნაბიჯი რესპუბლიკაში ტოპონიმური მასალის აღწერის გეგმაზომიერად წარმართვის საქმეში გადადგა ფარნაოზ ერთელიშვილმაო“.

სწორედ ალ. ღლონტის „ტოპონიმიკური ძიებანია" (11 წიგნი) დასტური საქართველოში ტოპონიმთა ლექსიკონების სისტემური და გეგმაზომიერი გამოცემისა, რაც იკვეთება შემდეგი შეფასებითაც: „ალ. ღლონტმა დააარსა სერია „ტოპონიმიკური ძიებანი". ამგვარი ნაშრომების გამოქვეყნებით ნებისმიერი სოლიდური განყოფილება იამაყებდა" (პროფესორები: ლ. კვაჭაძე, კ. დანელია, გ. ნებიერიძე, ზ. სარჯველაძე).

P.S. ზოგადად, ამ წლებში (1971-1993) და უფრო ადრეც ცალკეულ ტოპონიმიკურ ლექსიკონებს გამოსცემენ ავტორები: მ. ალავიძე (1957, 1958), ი. სიხარულიძე (1958-1959), ვ. ითონიშვილი (1971), გ. ელიავა (1977, 1989), გ. ბედოშვილი (1980) და სხვები.

სისტემური სერიის, „ტოპონიმიკური ძიებანის", გამოსვლამდე, ანუ 1971 წლამდე, თავად ალ. ღლონტსაც აქვს გამოქვეყნებული „ტოპონიმიკური მასალები" 1955 წელს (სტალინირის უნივერსიტეტის შრომები, ტ. 2)[3].

საგანგებოდ გამოვყოფთ ალ. ღლონტის ტოპონიმიკური ლექსიკონების სერიიდან პირველ ტომს ვრცელი ენათმეცნიერული ანალიზით, ტოპონიმთა ძირითადი სტრუქტურული მოდელებით, (ღლონტი 1971), რომელიც პირველი ნაბიჯია მეგრულ ტოპონიმთა ლექსიკონების გამოცემის საქმეში. **კოლხურ ტოპონიმთა სალექსიკონო გამოცემას ჯერ კიდევ 70-იან წლების დასაწყისშივე ჩაეყარა საფუძველი და იგი დაკავშირებულია ალექსანდრე ღლონტის სახელთან.** ბატონი პ. ცხადაია საგანგებოდ აღნიშნავს: „უკანასკნელი მეოთხედი საუკუნის განმავლობაში სამეგრელოს ტოპონიმიის მასალების ოთხი წიგნი დაიბეჭდა. მათგან მეცნიერული დონითა და კვალიფიციურობით გამოირჩევა პროფ. ალ. ღლონტის „ტოპონიმიკური ძიებანი - I", 1971" სწორედ იმ მიზეზით, რომ იგი შედგენილია პროფესიონალი ენათმეცნიერის მიერ" (ცხადაია: 1999). ჩვენ კვლავ დაბეჯითებით დავძენთ, რომ ღლონტის ეს კოლხეთის ტოპონიმთა ლექსიკონი ქრონოლოგიურად პირველია სამეგრელოს ტოპონიმთა ლექსიკონებს შორის, 48-გვერდიანი ენათმეცნიერული ანალიზით.

III. 1967 წელს ალ. ღლონტმა გამოსცა „ქართველური საკუთარი სახელები" – ლექსიკონი ენათმეცნიერული ანალიზით

ალ. ღლონტის ქართული ონომასტიკის ფუძემდებლად აღიარებისას გარდა 1) სახელმძღვანელოსი (1964) და 2) 1971 წლიდან სისტემური სახით გამოცემული ტოპონიმთა ლექსიკონებისა, ასახელებენ ნაშრომს: „ქართველური საკუთარი სახელები" (ორჯერ გამოიცა.: 1967, 1986); ეს „პირველი ორიგინალური მონოგრაფიაა ანთროპონიმიკის საკითხებზე" (ალ. ონიანი, ლ. ნოზაძე), დავძენდი: ესაა პირველი ანთროპონიმთა ლექსიკონი მეცნიერული კვლევით. რაც მთავარია, გამოცემულია 1969 წლამდე, ანუ თსუ-ში ტოპონიმიკის ლაბორატორიის დაარსებამდე და მას დიდი გამოხმაურებებიც მოჰყვა.

აი, ამ მონაცემებიდან გამომდინარე, არავითარ შემთხვევაში არ არის მეცნიერულად გამართლებული იმის თქმა, <u>რომ</u>:

1) 1969 წლამდე რესპუბლიკის ონომასტიკურ „აღწერასა და

[3] ასევე პირველმა აღწერა იური სიხარულიძემ, ისტორიკოსმა და გეოგრაფმა, ჩვენი ქვეყნის მნიშვნელოვანი რეგიონი და ჯერ კიდევ 1958 წელს გამოსცა „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა".

კვლევას" სისტემური ხასიათი არ ჰქონიაო. პირიქით, ალ. ღლონტის მიერ სწორედ რომ სისტემურად და გეგმაზომიერად მიმდინარეობდა საქართველოს საკმაოდ მოზრდილი ნაწილის არა მხოლოდ ტოპონიმთა აღწერა და ლექსიკონებად გამოცემა, არამედ თითოეულ მათგანს ახლავს შესაბამისი ენათმეცნიერულ-ონომასტიკური კვლევაც, მაგ., ა) ლექსიკონად წარმოდგენილი „ქართველური საკუთარი სახელების" ენათმეცნიერულ-ონომატოლოგიური კვლევა მოიცავს 1-61 გვ.-ს, ბ) „ტოპონიმიკური ძიებანის" ლექსიკონთა I წიგნში კვლევა მოიცავს 3-48 გვ.-ს, III წიგნში – 3-41 გვ.-ს და ა.შ., რაც გაგრძელებაა 1964 წელს გამოცემული პირველი ონომასტიკური სახელმძღვანელოსი და ასედაცაა აღქმული (ღლონტი 1964).

IV. ონომასტიკა ლინგვისტიკის დარგად ჯერ კიდევ 1964 წელსაა წარმოდგენილი ალ. ღლონტის მიერ.

ის ფაქტი, რომ ონომატოლოგიის საფუძვლები შეტანილია ჯერ კიდევ 1964 წელს გამოცემულ წიგნში „ქართული ლექსიკოლოგია", ლექსიკოლოგია კი ენათმეცნიერების დარგია – უკვე ადატურებს მისი ავტორის, ალ. ღლონტის, პოზიციას და მიზანს: იგი ონომასტიკას აცხადებს ენათმეცნიერების დარგად და ლოგიკურად ეს პირველი განაცხადია. ამიტომ არაერთგზის იმოწმებს ცნობილი ონომასტიკოსი პაატა ცხადაია თავის „ონომასტიკის შესავალში" ალ. ღლონტის შესატყვის სიტყვებს:

1) „სიტყვაწარმოება და ონომატოლოგია სწორედ ლექსიკოლოგიის სფეროში შემოდის და აქ უნდა განიხილებოდეს" (ღლონტი 1964: ცხადაია 2005: 14);

2) „ტოპონიმი ჩვენ, უწინარეს ყოვლისა, ლინგვისტური თვალსაზრისით გვაინტერესებს, რადგან ტოპონიმებს ვუცქერით, როგორც ენის ლექსიკურ ერთეულებს" (ღლონტი 1971: 3; ცხადაია 2005: 14);

3) პ. ცხადაიას აზრით, ალ. ღლონტის „ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლებში", „ტოპონიმიკური ძიებანის" ათსავე წიგნის შესავალში განხილულია... ონომატოლოგიის საგანი, რაობა, სემანტიკა, სტრუქტურა, აპელატივის ტოპონიმიზაცია...(ცხადაია 2005: 14).

ალ. ღლონტის სიტყვების დამოწმებითა და ამ ჩამონათვალით პ. ცხადაია, ადვილი მისახვედრია, მიუთითებს ონომასტიკის ენათმეცნიერული კვლევის სისტემატიზაციაზე.

პ. ცხადაიას ეს სიტყვები აბათილებს გ. ხორნაულის ალოგიკურ „კონცეფციას": „სისტემური ხასიათი ტოპონიმიკური მასალის ენათმეცნიერული გაანალიზებისა დაიწყო მას შემდეგ, რაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა ტოპონიმიკის ლაბორატორია (და) ლაბორატორიის წევრებმა... მასალა ენათმეცნიერულად გააანალიზესო" (ხორნაული 2003: 20) – **ეს არა მხოლოდ ცალსახად სუბიექტური და არაპროფესიული აზრია... ქართული ონომასტიკის ისტორიის დამახინჯებაა!**

პ. ცხადაიას აქ დამოწმებულ სიტყვებს ალ. ღლონტის მიერ ონომასტიკის ენათმეცნიერების დარგად წარმოდგენის შესახებ დავუმატებთ „ქართულ ლექსიკოლოგიაში" ორი პარაგრაფის გამოკვეთილად ენათმეცნიერულ სათაურს: 1) „ტოპონიმიკურ სახელთა აგლუტინაციური წარმოება"; 2) „ტოპონიმიკურ სახელთა საწარმოებელი აფიქსები", სადაც ავტორი ასახელებს 40-ზე მეტ აფიქსს, ამასთან დაკავშირებით, ზოგან იმოწმებს აკ. შანიძეს, თ. ზურაბიშვილს, მ. ჩიქოვანს.

ტოპოფორმანტთა ამ ჩამონათვალის შემდეგ და, ზოგადად, ამ რეალობის შემდეგ, გაუგებრობა კი არა, დანაშაულია 2003 წელს გამოცემულ ონომასტიკის სახელმძღვანელოში (გვ. 20) ეწეროს, რომ მხოლოდ და მხოლოდ თსუ ტოპონიმიკის ლაბორატორიის წევრების მიერ ტოპონიმური მასალის ენათმეცნიერულად გააანალიზების შემდეგ (არ დაგვავიწყდეს: ივარაუდება 70-იანი წლების ბოლო) გაირკვა, რომ მთელ საქართველოში ტოპონიმთა გაფორმებაში ძირითადად იყენებდნენ ტოპოფორმანტებსო და ჩამოთვლილია სა-ეთ, სა-ო, -ეთ, ურ... ე.ი. ამის დამწერს აღმოუჩენია 2003 წელს ტოპონიმებში ტოპოფორმანტები...

საქართველოში ონომასტიკის ლინგვისტიკის დარგად ჩამოყალიბება დაკავშირებული რომ არის ალექსანდრე ღლონტის სახელთან, სწორედ ამ დეტალზე აქცენტირებს ილია მაისურაძე, როცა ასახელებს „ქართულ ლექსიკოლოგიას“ და წერს: „ონომატოლოგია შესულია ლექსიკოლოგიის სფეროში,” ლექსიკოლოგია კი, გამეორება აღარ არის საჭირო, მაგრამ მაინც: ენათმეცნიერების დარგია.

V. პირველი გვაროვნულ სახელთა (გვართა) ლექსიკონი – ახალი თვალსაზრისი, რომელიც შესაძლოა აღმოჩენის ტოლფასად ჩაითვალოს.

ანთროპონიმიკა ონომასტიკის უმნიშვნელოვანესი დარგია, რომელიც, თავის მხრივ, ეყრდნობა ორ საფუძველს, ესაა: საკუთრივ ანთროპონიმები, ანუ, როგორც ეძახიან, პირის სახელები და გვაროვნული სახელები, გვარები. დაბეჯითებით უნდა ითქვას: „ქართულ ლექსიკოლოგიაში” (1964) წარმოდგენილი პროფ. ალ. ღლონტის მოძღვრება ისეთივე ფუძემდებლურია „გვარონულ სახელებზე” (როგორც თავად უწოდებს), როგორიც საკუთრივ ანთროპონიმებზე და ამას ადასტურებს პროფ. ზურაბ ჭუმბურიძის 1966 წელს გამოცემული წიგნი „რა გქვია შენ”, რომელშიც ავტორი საკმაოდ დაწვრილებით ეხება გვარებს, მათს სემანტიკურ ჯგუფებს და მთლიანად ეყრდნობა ალ. ღლონტის თეორიას გვაროვნულ სახელებზე, რაც გამოწვლილვით მაქვს გაანალიზებული ერთ სამეცნიერო სტატიაში (გოდერძიშვილი: 2020: 50-64).

კვლევა გვარებზე 13 წლის შემდეგ თეორიულად უფრო გაშალა და გააღრმავა ილია მაისურაძემ წიგნში „ქართული გვარები” (1979), ხოლო 1981 წელს გამოსცა ცნობილი ლექსიკონი „ქართული გვარსახელები”. ესაა „სალექსიკონო ბიბლიოგრაფიული მასალები“, რომლებიც მოპოვებულია ქართული დოკუმენტური წყაროებიდან, ნაშრომებიდან, ქართული პრესიდან. ვიმეორებ, ეს ხდება 1981 წელს და ითვლება გვარსახელთა პირველ ლექსიკონად, რომელშიც 3000 ერთეულია.

ხაზგასმით უნდა ითქვას ის, რომ ონომასტიკურ მეცნიერებაში ნაკლებადაა აღქმული ერთი ფაქტი: ალექსანდრე ღლონტს ჯერ კიდევ „ტოპონიმიკური ძიებანის“ 1971, 1975, 1981 წლების და შემდგომ გამოცემებშიც ქართული გვარები (და არაოდენ ქართული) წარმოდგენილი აქვს სწორედ ლექსიკონის ფორმატში და, რაც მნიშვნელოვანია, სოფლების მიხედვით, ზოგან ქუჩებისა და უბნების მიხედვითაც. ამასთან, 3000-ზე გაცილებით მეტი გვარი პირველსავე სალექსიკონო წიგნში, კოლხეთის რეგიონში, არის დაფიქსირებული. თუ ამას მივუმატებთ 1982 წლიდან ქიზიყის (სიღნაღი-დედოფლისწყაროს), ბორჯომის ხეობის (1987), ფრონეების ხეობების (1988), სამტრედიის (1990), გურიის (ოზურგეთი,

ლანჩხუთი, ჩოხატაური) რაიონებში ჩაწერილ გვარებს, თან გვართა განშტოებებით, რომელთა რაოდენობა ათასებს ითვლის, აშკარა ფაქტის წინაშე ვდგებით – პროფ. ალექსანდრე ღლონტმა დაგვიტოვა ნახევარი (და მეტი) საქართველოს არა მხოლოდ ტოპონიმთა, არამედ გვარსახელთა ლექსიკონი. დაბეჯითებით ვიმეორებთ, რომ სოფლების მიხედვით მოპოვებულ გვარებს სპეციფიკური ონომასტიკური დატვირთვა აქვთ. და ეს არის პირველი გვართა მონაცემები, რადგან მისი სოლიდური ნაწილი წინ უსწრებს ილია მაისურაძის ლექსიკონს. თავის მხრივ, ილია მაისურაძის ლექსიკონმა დიდი სიტყვა თქვა ონომასტიკურ მეცნიერებაში. დასანანია, რომ ალექსანდრე ღლონტის დაარსებული სამეცნიერო სერიის სათაური „ტოპონიმიკური ძიებანი" არ ასახავს ამ ნაშრომის სრულ ღირებულებას, რამეთუ **ეს სერია არა მხოლოდ ტოპონიმთა, არამედ გვართა ლექსიკონიცაა.**

ჩემი, როგორც ალ. ღლონტის მოწაფის, მოვალეობაა – ცალკე წიგნად გამოვიტანო და უკვე გადაცემულიცაა დასაბეჭდად ეს ფასდაუდებელი შრომა სათაურით ალ. ღლონტის „გვართა ლექსიკონი საქართველოს რეგიონთა სოფლების მიხედვით", რომელსაც უდავოდ მიენიჭება გვართა პირველი ლექსიკონის სტატუსი.[4]

სავალალოდ, თავად ავტორის, ალ ღლონტის, არასწორი პოზიციით, ეს ამ სახით დღემდე არ აღიქმებოდა. არასწორ პოზიციად კი მივიჩნევთ იმას, რომ ამ სერიისთვის, რომლის გამოცემაც ალ. ღლონტმა დაიწყო 1971 წელს, ავტორს უნდა დაერქმია „ტოპონიმთა და გვართა ლექსიკონი". მით უმეტეს, მეტად აშკარაა, რომ გვარები, ისე როგორც ტოპონიმები, ერთნაირი მიზანდასახულობითაა მოპოვებული საქართველოს სოფლებში ექსპედიციისას სოფლების მიხედვით. სოფლების მიხედვით გვართა ლოკალიზაციისას, მართალია, ხდება ზოგიერთი გვარის გამეორება, რაც ბუნებრივია და ეს ზემოთ დასახელებული ციფრების რაოდენობას თითქოს ამცირებს, მაგრამ გვართა სახეობათა რიცხვმრავალი მაჩვენებელი საკმაოდ სოლიდური რჩება. ცალკე ისიც მნიშვნელოვანია, რომ ვიგებთ: ერთი გვარი რამდენ და რომელ სოფლებში ფიგურირებს.

დასკვნა:

1) ონომასტიკას, როგორც ენათმეცნიერების დარგს, საქართველოში საფუძველი ჩაეყარა ალ.ღლონტის შრომებით. ესაა: 1. „ქართული ლექსიკოლოგია" (1964), 2. „ქართველური საკუთარი სახელები" (1967); 3. სერია „ტოპონიმიკური ძიებანი" 11 წიგნი (1971-დან) – ენათმეცნიერული კვლევებით.

და ეს მოხდა ჩვენ თვალწინ და არა საუკუნეების წინ, რომ მითები შევქმნათ საქართველოში ონომასტიკის ენათმეცნიერების დარგად ჩასახვის, მისი დამფუძნებლისა და დარგის განვითარების ისტორიაზე.

მეტიც, ჯერ კიდევ უნივერსიტეტის ტოპონიმიკის ლაბორატორიის შექმნამდე (1969) ალ. ღლონტი კითხულობდა ონომასტიკის სპეცკურსს პედაგოგიურ ინსტიტუტში.

2) რაც შეეხება თსუ-ში 1969 წელს დაარსებულ ტოპონიმიკის/ ონომასტიკის ლაბორატორიას, მისი თანამშრომლები (მათ შორის მეც) მართლა გეგმაზომიერად და სისტემურად ღირსეულად აგრძელებდნენ

[4] ალ. ღლონტის პირველი წერილი გვარებსა და ტოპონიმებზე დაიბეჭდა 1953 წელს: „ადამიანთა გვარები და ადგილის სახელწოდებანი ტერმინებად" („საბჭოთა ოსეთი").

საქართველოში უკვე ფეხმოკიდებულ გზაგაკვალულ ონომასტიკურ საქმიანობას, რომელსაც თსუ-ში 4 ათეული წელი ღირსეულად უძღვებოდა საქართველოში ონომასტიკის გამორჩეული მკვლევარი პაატა ცხადაია. მისი გამგეობის დროს დაიდო კიდეც, როგორც იტყვიან, ოქროს ფონდი. მაგრამ საქართველოში ონომასტიკის დაფუძნება ენათმეცნიერების დარგად და მისი გეგმაზომიერად წარმართვის დასაწყისი ეტაპი დაკავშირებულია პროფ. ალექსანდრე ღლონტის სახელთან და არა 1969 წელს თსუ-ში დაარსებულ ტოპონიმიკის ლაბორატორიასთან – ეს არასწორი კვალიფიკაციაა, XXI საუკუნის დასაწყისში შემუშავებული (შდრ.: XX საუკუნის ცნობილ მეცნიერთა ერთხმად აღიარებული თვალსაზრისი).

3) ჩვენ ქრონოლოგიური თვალსაზრისით შევადარეთ „ონომასტიკის შესავალში“ დასახელებული სამი დიდი მეცნიერის ონომასტიკური შრომები და, რა თქმა უნდა, ონომასტიკის ყველა სფეროში დროში უწინარესი ალ. ღლონტის შრომებია, რაც აღიარებულია მეცნიერთა მიერ. მით უმეტეს, უწინარესობა იკვეთება თსუ ტოპონიმიკის ლაბორატორიის წევრთა ნაშრომებთან მიმართებით.

დამოწმებული ლიტერატურა

გოდერძიშვილი 2020: გოდერძიშვილი ქ., პირველავტორის ნააზრევის გათვალისწინებისთვის ონომასტიკურ ლიტერატურაში. გულანი, 23,2020, 50-64.

ღლონტი 1964: ღლონტი ალ., ქართული ლექსიკოლოგია. თბილისი, 1964.

ღლონტი 1971: ღლონტი ალ., ტოპონიმიკური ძიებანი, I. თბილისი, 1971.

ცხადაია 1999: ცხადაია პ., ძიებანი კოლხეთის ტოპონიმიიდან, I. თბილისი, 1999.

ცხადაია 2005: ცხადაია პ., ონომასტიკის შესავალი (რედაქტორი შ. აფრიდონიძე). თბილისი, 2005.

ძიძიგური… 1973: ძიძიგური შ., იმნაიშვილი ივ., კვაჭაძე ლ., გაზეთი „კომუნისტი“, 1973.3.03.

ხორნაული 2003: ხორნაული გ. ქართული ონომასტიკა (რედაქტორი მ. ანდრონიკაშვილი). თბილისი, 2003.

წყაროები

ალაზნის განთიადი: გაზეთი „ალაზნის განთიადი”, 1982, 06.

ახალგაზრდა კომუნისტი: გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1982.5.08.

გამარჯვება: გაზეთი „გამარჯვება”, 1987.15.05.

თბილისი: გაზეთი „თბილისი”, 1982; 1992.12.07; 1988, 8.07.

კომუნისტი: გაზეთი „კომუნისტი“, 1973.3.03.

საბჭოთა აჭარა: გაზეთი „საბჭოთა აჭარა”, 1982,8.06; 1987,11.

საბჭოთა ოსეთი: გაზეთი „საბჭოთა ოსეთი”, 1972. 8.06; 1982.9.06.

საქართველოს რესპუბლიკა: გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა”, 1992, №9.06; 1996, 3.10.

ქართული კულტურა: გაზეთი „ქართული კულტურა”, 1992.12.06.

ქუთაისი: გაზეთი „ქუთაისი”,1972.8.08; 1982, 17.07.